

F 24  
1888 თ მ ა ტ რ ი

საყოველ-კვირა სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი

1888 წელს

№ 48—49

ღიამშენი 17

გაზეთი ლინტ: ერთის წლ. 5 მან.,  
წახევ. წლ. 3 ე., ცალკე № 15 ქ.  
ხელის მოწერა მიიღება: თბილის-  
ში რედაქციის კანცორაში. ფოთ-  
ში ბესარიონ კალინდაძესთან. ად-  
რესი გარეშე მცოვრებთავის: თიფ-  
ლის, ვხ რედაქციი გაზეთი  
„TEATRЪ“. გაზეთი ისყიდება:  
თბილისში, ჩარგვანის წიგნის მაღა-  
ზიში და პ-ნ ხიდეველთან—გო-  
ლოვინის პრობეჭტზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერი-  
ლები (კორრესპონდენცია) გარევ-  
ვით უნდა იყოს დაწერილი. ოუ სა-  
ჭიროება მოითხოვს წერილებს რე-  
დაქცია შეასწორებს. რედაქცია არა  
კირულობს წერილების უკან გაგ-  
ზავნას და მათ შესახებ მიწერ-მო  
წერას.

ყოველ წერილში უნდა იყოს  
მოხსენებული: სახელი, გვარი და  
საცხოვრებელი ადგილი დაწერისა.

ეს ნომერი ლინტ 15 ქაჲ.

## გაზეთ „თეატრისა“ რედაქციისაგან

ჩენის გაზეთის პირველ ნომერში წლიურ ხელის მომ-  
წერლებს აღუთვეით საჩუქრი. დანიშნულ საჩუქრის მაგიერ  
ხელის მომწერლებს გაეგზავნებათ ამ თვის ოქმი «კედლის  
ქართული გალენდარი» ბ-ნ გ. ჩარკვანის-მიერ გამოცემული.

გაზეთის «თეატრისა» წლიურ ხელის მომწერთა  
1889 წელში გაეგზავნებათ საჩუქრად თამარ დედოფლის  
სურათი. ფერად წამლებით ნახატი. სურათი იქნება  
სიგრძით ნახევარი ადლი, სიგანით მქონი გოჭი.

## ა ს ა ლ ი ა შ პ ე პ ი

ამ დღეებში ერთი საკიბრველი კრება მომხდარა ჩვენს  
ქალაქში: ბ. ონ—ანცს მოუწვევია თავის სახლში ცველა ძუნ-

წი და წუწურაქი კაცი, ვისაც-კი 10ბილისში სახელი მოუპოვევ-  
ბია მდიდრისა. აზრი ამ კრებისა ყოფილა ისა, რომ ეანგარიშ-  
ნათ, ვის რა შემოსავალი აქვს და ვის რამდენი ეხარჯება  
თავის რჩენაზედ. არც ერთს მოწვეულს არ დაუმალნია და თა-  
ვის სიცოცხლეში ეს პირველად უღვიძარებია საქვეყნოთ, რა  
შემოსავალიცა ჰქონია წლიურად. აღმოჩენილა, რომ ცუელა  
მათგანს საერთოდ წელიწადში ორი ათასის თუმნით ურბევია  
ჩევნი ქალაქელები. დღიური ხარჯი თვითვეულ მათგანისა: ხუ-  
თი გროვის ლობით, ცალი ფულის სანელი, ოთხი ვედრო  
წყალი, ანუ ერთი კაპიკი, ოთხი გროვის ნახშირი, შაურის  
ღვანო, კაპიკისაც ხურმა; მაშ წელიწადში ხორაგვეულობაზე  
მიღის სამი თუმანი შვიდი მანათი და ერთი აბაზი თეთრი ფუ-  
ლი. ახლა წლიურად რო გამოვიანგარიშოთ ჩაი-შაქრის ხარ-  
ჯი, სულ რომ «წკიბურტითაცა» სვას, უკანასკნელი ექვსი მანა-  
თი და სამი აბაზი. ახლა ოჯახია, სტუმარია, მიმსვლელია,  
მომსვლელია, ბეღნიერი დღეა, ყველას სახუჭრები უნდათ, ხელ-  
ში შემოგვურებენ,—ესეც თითქმის ჩეიდმეტი მანათი და ათი  
შაური. საღვომი საკუთარ სახლია და ესეც ფული ლირს თუ  
არა!—ლირს წლიურად არა ნაკლებ ოცის თუმნისა. ჩატმაა, და-  
ხურეა, ერთია, მეორეა, ესეც თითქმის ცამეტ მანათამდე ადის.  
ამ სახით წლიური ხარჯი გამოდის ოცდა ექვსი თუმანი ოთხი  
მანათი და ექვსი შაური. ექვსი შაურიც წელიწადში სამოწყა-  
ლო საქმეს და სანთელ-საკმელს უწდება.

ამ სახით, ნაღდი შემოსავალი 20,000 მანათია, გასავა-  
ლი 264 პ. 30 კ. ბ. ონ—ანცმა წარმოსთქეა გრძნობიანი  
სიტყვა: „პირი სამარისაკენა გვაძეს მიქცეული. ამოდენა ფული  
შეგვიგროვებია და ერთხელ რიგიანათ არც კი გაგვიძლვია მუ-  
ცელი, მწვანილისა და ლობითს ანაბარს გაგვიტარებია დღენი  
ჩევნი. რასაკეირველია, სულ ამ ოქროების სიყვარულით. მა-  
გრამ ეხლა რა უნდა მოგვცეს ჩენ ამ ფულებმა! სამარეში არ  
გაგვატანენ ჩევნი პირშავი მემკვიდრენი, შეუჩნდებიან თავვები-  
ვით და სულ რამდენსამე წელს გააჩანაგებენ, დაკვნეტავენ,  
გააქრობენ. იქნება მადლობაც არ შემოგვითვალონ. მართალია,  
გვიან არის, მაგრამ ისევ ჩევნთვის უფრო უპრიანია ამ ფულე-

ბის ხარჯეა. დღეიდამ ავიღოთ თითო ლოფა მოელს ზამთრის—  
ბით, ჩავეწერნეთ საბრანიეშიაც, კრუერკშიაც, პრიკაშიკების  
კლუბშიაც; კარგა ესვათ, კარგა ესჭამოთ, დავპატიქოთ ერთ-  
მანეთი და სხვებიცა, ვიქეიფოთ, ვიმხიარულოთ, სხვებიც გა-  
გახაროთ ჩვენის მოგებით და ჩვენც გავიხაროთო». საზოგადო-  
ებას მოეწონა ეს სიტყვა. ტაშის კვრასა და ვაშა-ვაშას ბოლო  
არა ჰქონდა. იმ ღამეს ყველამ მოპხსნეს პირი ქისებსა და სამი  
დღე სულ სმასა და ჭამაში გაატარეს.

მეტადრე ამ ჩვენ ცარიელ თეატრებს უნდა უხარიდეთ—  
ლოცები მაინც მუდამ საესე იქნება ხალხით. ესეც დიდი ღვთის  
წყალობაა. მერე რა ხალხი—სულ ძუნწები, სულ წუწურაჭები  
და ისიც ლოცებში!

ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთი სახლი, რომელიც ჯერ მარ-  
ტო გომები იყო და დღეს სამ-ეტაფიანია, რადგან სამჯერ გა-  
დამწვარა და ყოველ დაწვაზედ თითო ეტაფა ემატებოდა,—ჰო,  
ეს სახლი მეოთხეთ პირებს თავის-თავის გადაწვას, რომ ამ  
საშუალებით ოთხ-ეტაფიანათ იქცეს. ძალიან ეშმაკი, ხერხიანი  
და გაიძვერა სახლია ის დასაქცევი, ისა!

ამ თვის ოცდა სამში ბენეფისია ბ. დ. აწყურელისა, რომლის  
დიდი კომიკური ნიჭი ასე უყვარს და მოსწონს თბილისის სა-  
ზოგადოებას. აბა ვნახავთ, რითი და როგორ დაამტკიცებენ  
ქალაქელები, რომ ამათაც ესმით რამ ხელოვნებისა—მარტო  
«ბრავოსა» და «ბისის» ძახილითა, თუ უოტაოდნათ შეიჩმუ-  
ჩნებიან და ნივთიერათაც დაჯილდოვებენ ამ ახალგაზდა მსა-  
ხურს უმაღურის სცენისა!...

### ცხოვრება და თეატრი

მოვიდა ზამთარი და დადგა სიცივე. ვისაც ლუკა პური  
ადრევე დაუმზადებია თავისთვის, იმას გული შიგნილამა აქვს,

მაგარი ზურგი თამამად შეუბრუნებია ზამთრისათვის და ანუმ-  
შიაც არ ავდებს ამის ქარ-ბუქსა და არც სიცივეს. ვაი იმისი  
ბრალი, ვისაც ცალკე კუჭი ამოსხახის — «მაჟარე», მომაჟველე  
რამე, ჩამომაწოდე, თორებ ლამის დავიწვა და დავიდაგო»,  
ცალკე ფეხი და ხელი, პირისახე, სიცივისაგან გალურჯებული,  
ბაბანითა და ცახცანით ჩასძახიან ყურში — «სითბო ჩქარა, სით-  
ბო, თორებ დავიკრუნჩხენით და მერე რაღაში გამოგადგებით,  
რაღა სამსახურს გავიწევთო». როცა ასეთს უბედურებაში მარ-  
ტოცრითი სული და მარტოცრითის კუჭია, მარტოც თითო  
წყვილის ხელ-ფეხის ტკივალი და მწუხარება ესმის განუწყვე-  
ტლივ დილიდამ საღამომდე და საღამოდამ დილამდე, კიდევ  
არა უშაგს-რა — სიკედილს მაინც გულით ინატრებს. მწუხარება  
ბეჭერდება, როდესაც ამისთანა შშიერსა და მწყურეალს წილათა  
პრეგებია ქვეყნაში გამოიყენოს რამდენიმე მშიერი სული, თა-  
ვისი სისხლი და ხორცი! აქ სიმწვავე პლალადებს და მისი ხმა  
ზეცამდინ ადის. ზაფხული სწორეთ პატრიონია ამ ვერ უბედურ-  
თათვის — თავშესაფარს არ აკლებს მათ მაღლიანი ზეცა, ნიადა-  
გი მათვეის გადაჭიმული აქეს თბილს დედა მიწას. ზამთარში  
კი ცაც და დედამიწაც ხელმოკერილები ხდებიან და გულ  
ქვევად უქერებ თავიანთ მფარეველობას.

ქალაქებსა და სოფლებში სილარიბის შეილნი გამოდიან  
და კარის-კარ ეძებენ ლუკმა პურსა, მიჭმართვენ ადამიანის გულ-  
შემატეკიერობასა და მაცხოვრის სახელით ყველას ამენენ და  
აგონებენ სიტყვას ძმათა სიყვარულისასა და შებრალებისას.   
აი ამისთანებში უფრო აშკარად პხედავს, მკითხველო, თქვენი  
თვეალი, რა განსხვავება ცხოვრებასა და თვატრ შორის. ყვე-  
ლას თავი მოგეწონს იმითი, რომ ველურობასა და განაღირე-  
ბას ძალიან შორს გაეციდით, წარმატებაში შევსდგით ფეხი,  
მომხრენი ვართ ადამიანობისა, რომა გვძავს დაჩაკერა სუსტისა  
და ულონოსი, რომ პირიქით ჩვენ ყოველთვის მჩათა ვართ  
ხელი მიუკეთ და ფეხზე წამოვაყენოთ სუსტი და უბედური მე-  
ზობელიო.

მაგრამ როდესაც ამ ფრაზებს თვეს დაანებებთ და გონივ-  
რულად ჩაიხდეთ თვეით ცხოვრებაში, მაშინ პნახვთ, რომ

ეგ უკველივე მხოლოდ მოჩენებაა, ფერ-უმარილია და მეტი არაფერი. გაახილეთ თვალი, ჩამორეცხეთ ეგ ფერ-უმარილი, და ხელთ დაგრჩებათ უბადრუკი სიღატაკე გულისა და სიცარიელე სულისა, დაგრჩებათ ფრაზიორთა გარუეული და დაჭმუქენილი ჰირისახე, რომელიც სრულიად მოკლებულია ყოველსავე მიმ-ზიდველობას, მოკლებულია თანაგრძნობას უბედურთა მიმართ და სხვანი

მოვიდა ზამთარი, დადგა სიცივე ტფილისშიაც და მშიერ-მწყურვალთა ღალადებამ მიაღწია იმათამდე, ვისაც რა გამოუც-დია სიღარიბე, ან სრულიად დაჰვიწყებია ამ ჭირის ულმობე-ლობა და სიმწარე. ღროვამოშვებით, შიგ-ჭრელად დატრიალ-დება ხოლმე შეძლებულთა შორის აზრი და სურვილი შეველი-სა. მაგრამ რადგან თეთით აზრი ძალიან ბუნდად გაივლის ხოლ-მე თავში და სურვილი შეველისაც მარტო ოდნივ ატოკებს გაქვავებულს გულს, ამიტომ ნაყოფი აზრისა და სურვილისა ხშირად თხილის გულის ოდენაც არ დადგება ხოლმე.

«აბა, არიქათ, დაფაცურდით — აგრა იქ, მჩეარში გახვე-ული, მშიერ-მწყურვალე მოძმე ჩევნი, სახე მღვთისა, ჩევნ შზგასი აღამიანი შიმშილითა კვდება, მივე შეველნეთ, ვისაც რი-თი შეგვიძლიანო» — ამ სიტყვებით გამოდიან საზოგადოებაში თითო-ოროდა ქველმოქმედნი და მოწყალების ხალისს აღვი-ძებენ შეძლებულთა შორის. ესენიც, თითქო სწუხდნენ ვისოფი-მე და მართლა შესტკიოდეთ გული უბედურთათვის, ხანდისხან ჯიბეს იკრავენ ხელსა და დაიწყებენ ქისის ჩხრევას. ხშირად ისე მოპედება, ხოლმე, რომ, ხანგრძლივის ძიების შემდეგ, ქი-საში «საუბედუროთ» არა აღმოჩნდება-რა, გინდაც ეს ქისა ძალ-ზე გატენილი იყოს პოლიპრიიალებით. «რა, თქვენი ჭირი-მეთო — ბოდიშს იხდის პოლიპრიიალებიანი — სწორედ ამ ხელად არა მაქეს-რა, თორებ განა არ მიცნობთ, რომ მე ჩემს დღეში არას დაეიშურებ მოძმისათვის, თუ-კი ჩემი დახმარება გამოად-გება ვისმერ! აბა სხვა ღროს მნახეთ, თუ ხელუარიელი წაბ-ძანდებით ჩემიდამაო».

სწორეთ თვატრია რაღა, არც ერთი და არც მეორე. ყველას თავისი როლი დაუსწავლია კარგათ, საუცხოვოთ და



კველანი ერთმანეთს ატყუებენ დილიდამ საღამომდე, და ამ დროს შშიერი და მწყურვალე ჩვენი მოყვასი კანკალებს და ცახცახებს, სადღაუ კუთხეში მიმალული, კბილი კბილსა სცემს ცალკე შიმშილისაგან და ცალკე სიციეისაგან.

ამ სეზონში მრავალი წარმოდგენა და კონცერტი გაიმართა საქელ-მოქმედო აზრით. დახმარებას უწევენ ან ღარიბ შეგირდებს, რომელთაც სწავლა უნდათ და შიმშილისაგან-კი კუჭი ეწვით, ან უდედმამო ბავშვებს, ობოლ-ოხერ ყჲაწვილებს, რომელნიც ქვეყანაზე დაუბადნიათ და ლუკმა პური-კი არ უზრუნიათ მათ შშობლებს. გარტო სასწაულთ-მოქმედება თუ შეკრებს ცოტა რამ თანხას ამ საქმისთვის, თორემ უმეტეს ნაწილად ძირს დარჩება ხოლმე ან ოთხი გაცვეთილი და ფერგა-მოლეული გროში, ან ასეთისაც ღირსების ოთხერთშ-ნახევარი. ეს არის და ეს. ამაში იხატება ჩენი აზრი დახმარებისა, ამით გამოიყურება ჩენი სურვილი მოწყალების ქმნისა!

მაგალითად, იმ დღეს ქართული წარმოდგენა გამართეს ობოლთა დახმარების აზრით. გამოცხადებული იყო საუკეთესო ქირთული პიესა — «კიმბირელი» ბ-ნ ცაგარლისა და «ბიძისათან გამოხუმრება» თ. ერისთავისა. უნდა მართალი სთქვას კაცმა, რომ საუცხოვოთ ითამაშეს აკტიორებმა და აკტრისტებმა. მეც იქ დავესწიან და დღემდის ვერ გამიგია, რათა თამაშობდნენ ისე კარგა, როდესაც თეატრში ოციოდე კაცის შეტს აჩავის შემოუწაწანია! ჩენი არტისტები მოსწონთ საზოგადოებას, პიესები საუცხოვონი იყნენ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ის ოციოდე კაციც-კი თითქმის ძალდატანებით შემოერევუნათ თეატრში, ხათრით მოსულიყვნენ, თორემ აბა ჩას მოვიდოდნენ, თუ-კი სრულებით ნებაყოფლობაზე მიმღებარიყო საქვე!

ჰო-და, ამა საქმეც მაგაშია, რომ ჩაც უნდა კი სანახავი მოყელოდეთ, რაც უნდა უმაღლესი სიტკბოება და სიამოენება დაგპირდნენ, არ წახეალთ არც თეატრში და არც კონცერტზე, თუ-კი საქველ-მოქმედო სახელი ჰქვიან წარმოდგენას.

წარსულ შებათს დიდათ მინდოდა თეატრში წასკლა, მი-  
ვეღი და ვნახე განტადება ბ-ნ ფორმატის წარმოდგენისა. ალ-  
მოჩნდა, რომ არყენდენ ისევ იმ «ბრძოლიავი», რამელიც თი-

თქმის ათვერ წარმოადგინეს და მოაბეჭრეს თავი ხალხსა. ამას-  
თანავე შემოსავალი საქელმოქმედო საქმეს უნდა მოჰქმარებოდა.  
ღმერთმა ჩემს მტერსაც ნუ მისცა ისეთი შემოსავალი, რაც ამ  
წარმოდგენას გადაპრჩა! თეატრში სულ სამი კაცი იჯდა და ისი-  
ნიც მუქთის ბილეთებით შესულოყვნენ. სირცხვილით ვეღარ  
დავჯერ კამჩე და მოვძებნე სხვა-გვარი დროს გატარება.

ასეთს ნიადაგზე სდგას ჩეენში საქელმოქმედო საქმეები.  
ბევრს უბედურს-კი მოსწმენდს თვალზე ცრუმლს ჩეენი სურვი-  
ლი დახმარებისა, ბევრს-კი გაუძლება დამწვარი და გამოფხევი-  
ლი კუჭი!..

არა, ამ თეატრალებს რაღა დაემართათ, რომ სწორეთ  
„ბროდიაგა“ დანიშნეს სათამაშოდ, როდესაც ამ პიესამ თავისი  
დრო კარგა ხანია მოსჭამა და კიდევაც მოინელა! მაგრამ რასა  
იქთ, ბატონებო, საქელმოქმედო წარმოდგენა გახლდათ და  
ვინ გაიცელებდა თავსა, რომ მშეერ-მწყურვალისათვის ან  
პიესა ამოერჩიათ რიგიანი, ან ერთი და ან მეორე!..

უცნობი.

### შართული თეატრი, 11 დეკემბერს.

წარსულს კვირას ქართულ თეატრში ხალხი თუშუა  
ცოტა იყო, მაგრამ მაინც ჩეეულებრივზე უფრო მეტი. არტი-  
სტების თამაშობაც ჩეენდა სასიამოვნოთ ჩეეულებრივზე ჭკე-  
თესი გამოდგა.

საზოგადოთ «რევიზორის» შესრულება საუკეთესო რუ-  
სულ არტისტებს საიმპერატორო სცენებისასც-კი ეძნელებათ  
და საკვირველი როდია, რომ ჩეენს მოთამაშეთ გაუძნელდეს  
«რევიზორის» ჯეროვნი თამაში. «რევიზორში» ყოველი რო-  
ლი არტისტისაგან თხოულობს ნიჭის, დიდს გამოუდილებას,  
ცოდნას და შრომას. ჩეენი არტისტები, კი, ერთი-ორის გარდა,  
მოკლებულნი არიან ყველა ზემო ჩამოთვლილს თვისებებს,  
ამიტომაც წარსულ კვირას «რევიზორი» უფრო ფეხრის მოგა-  
გონებდათ, ვიდრე სახელოვან გოგოლის უკვდავს კომედიას—



### ს ი დ ე ნ ა.

(«თვალს ავახელ ზედ წამწამზე მიზიხარ»-ის ხმაზე).

თვალს გავასქლ — გულს მისარებს,

ეპოლეტის პუჟერალი,

უკრს დავუგდებ — გულს მიღონებს,

გუქსილების შრიალი...



ფლანგი გის უდგას და იშტა გისა აქვს.

არა, მაგისთანა სატეა ვიცოდე და სელი რუსთაველზე მოკა-  
ცდანო!!!.. თუ ჭეუა გაქმს, გამიგონე: «გრანიცის» ბილეთები გა-  
გოთ,—მე გავასაღებ... ერთს წელიწადზე სახელოვან ჭარად გაგხდო.



სცენაზე ვხედავდით რაღაც «კორრიკატურებს» და არა სრულს ტიპებს და ხასიათებს.

ამ თავითვე ვაშბობთ, რომ ჩვენს რეცენზიებში ვე ცებით პირუთვნელი აზრი გამოვსთქვათ, ამიტომ, უკაცრავად, ნურავის გრძელებათ ჩვენი გულწრფელი აზრი.

დავიწყოთ თვითვეულ მოთამაშეთაგან. ფარდის ახდის დროს სცენაზე კ. ყიფანი ისიპის როლს ასრულებს. პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ყიფანშა ჩვენზე მოახდინა, იყო როლის უკოდინარობა, რის გამო მთელი მისი თამაშობა უხერხული და უფერული იყო. რაგინდ ნიჭიერი და დახელოვნებული მოთამაშე იყვეს არტისტი, თუ როლი არ იცის, იმისი თამაშობა მართლა უბრალო თა მა შობა და არა სერიოზული ხელოვნება. ყიფანს არ გატივება ესეთი საქციელი, მით უმეტეს გოგოლის პიესაში. შემოდის ხლესტაკოვი—აბაშიძე. რამდენჯერ გვინახავს ჩვენ ვ. აბაშიძე ხლესტაკოვის როლში და ეს სცენა ყოველთვის მკრთალად გაუტარებია. არ ვაცით, რათ არ ეხერხება ვ. აბაშიძეს ამ სცენის ასრულება. შეიძლება მიზეზი უხერხო თარგმანი იყვეს, ხოლო აბაშიძე ვერ ახდენს იმ ზედმოქმედებას, რომელიც მოსალოდნელია და აუცილებელი. ხოლო ის სცენა, ხადაც მსახურს საჭმელი შემოაქვს და სადაც არტისტს შეუძლიან თამაშობა, იქ ვ. აბაშიძე შეუდარებელი იყო. ეს მეტაკლებობა აბაშიძის თამაშობაში ჩვენის აზრით აიხსნება იმით, რომ აბაშიძე მეტად ცოცხალ ტემპერამენტის კაცია და მონოლოგები და უმოძრაო ჩუმი სცენები არ ეხერხება.

რაც შეეხება გოროდნის—ვ. გამყრელიძეს, ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ისა ვსთქვათ, რომ ვ. გამყრელიძეს სასცენო ნიჭი ატყევია და მომავალში იგი საუცხოვო არტისტად შეიქნება... თუ ჩაუგარდება ხელში რომელსამე გამოცდილს რეკისორს. ვ. გამყრელიძის «გოროდნისი» სრულებით არ ჰვანდა და გოგოლის გაიძევრა მოხელეს. გოროდნისის მოთამაშეს ეჭირება დიდი გამოცდილება და დახელოვნებული თამაშობა. აქ მარტო ნიჭი როდია საქმარისი. ჩვენ ამით ის არ ვვინდა ვსთქვათ, რომ ვ. გამყრელიძეს არ შეეძლოს გოროდნისის რო-

ლის შესრულება, არა, ჩეენ მხოლოდ იმას გამბობთ, რომ გამყრელიძემ გოროლნიში არი-სამი წელიწადის შემდეგ უნდა ითა-მაშოს, როცა ისე დახელოვნდება, რომ სცენა საკუთარ სახ-ლისავით მიაჩნდეს და სრულ ბატონად გრძნობდეს თავის-თავის, თორემ ვ. გამყრელიძემ ჯერ-ჯერიბით ხეირიანი სიარულიც არ იცის. სიტყვამ მოიტანა და ბარემ ვიტყვით, რომ ვ. გამყრე-ლიძემ უსათუოდ დიდი ურადღება უნდა მიაქციოს თავის სია-რულს. ეს ისეთი ნაკლულევანებაა, რომ თუ არ გასწორდა, ბევრს დაუშლის მის არტისტულს სახელს და მომავალს.

საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა არტისტებს და მოთამაშეთ, რომელთაც თავის დაჭრა არ შეუძლიანთ კო-მიურს როლებში, რაიცა ნამდვილ არტისტულ თამაშობითათ-ვის პირველ მცნებად უნდა ჩაითვალოს, რომელნიც ზომი-ერობას და წრეს გადადიან, ისინი ძალიან აშავებენ, და ვინც აშავებს, არტისტობას ჯამბაზად ჰქონდის და მისი ადგილი ცირკშია.

ჩერქეზოვის და თამაროვის თამაშობაზე საქებარს ვერაფერს ვიტყვით, თუმცა ჩევულებრივზე უკეთ თამაშობდნენ და როლე-ბიც იცოდნენ. ძრიელ კარგად გაატარა აბაშიძემ ეგრედ წოდე-ბულ «ყბელობის და სიცრუის სცენა».

გრიმი ყველას მეტას-მეტად კარიჩიკატურული ჰქონდათ. ტანსაცმელები არ შეეფერებოდა იმ ღროების ხალხს. რეფისო-რული მხარე ჩევულებრივზე უკეთესი იყო. არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ კ. ყიფიანს რომ გოროლნიშის როლი ეთამაშა და ვ. გამყრელიძეს ოსიპის როლი, პიესა ერთი ორად მოიგებდა.

X «ალიაქოთი» მეტის მეტად ცხოველად წარმოადგინეს. ეს იმით აიხსნება, რომ როლები ყველამ კარგად იცოდა და თვითონ პიესაც, თუმცა კომედიად არის მონათლული, უფრო ხუმრობას და ვოდიელს მიჰვაეს. განსაკუთრებით კარგი იყენენ საფა-როვისა — ახალგაზდა ცქრიალა ქალის როლში, აბაშიძე — ახალ-გაზდა შშიშარა ჩინოვნიკის როლში, კ. ყიფიანი — გამოსულელე-ბულ და ბებერ აშიუ ღერენლის როლში და აწყურელი ბებერ,

გულკეთილ მეგობრის როლში. სხვანი ბევრს შეელოდნენ პი-  
ესის კარგად შესრულებას.

ხალხი ძრიელ კმაყოფილი დარჩა და თუ დრამატულ კო-  
მიტეტმა ისე მოაშადა ხოლმე ახალი პიესები, როგორც წარ-  
სულს კვირას, ჩენ დარწმუნებული ვართ, რომ ხალხი ისევ  
ძელებურად დაიწყებს თეატრში სიარულს...

მაყურებელი.

მათემათიდანის აზრი ქალებზე.

(*La donna E'...*)

- 1) ქალი—ტელეგრაფია, რადგან ტელეგრაფიკით სისწრავით და  
სიცრულეებს გაგრძინდა.
- 2) ქალი—მიყრასკობია, რადგან უკეთეს ადადებს და აზიადებს.
- 3) ქალი—ბართმეტრია და ტერმომეტრი, რადგან ქალით ადგილათ  
შეიძლება გაცმა გამოიცნოს: დარი იქნება თუ ავდაზი, სიცი-  
კა თუ სითბო—ცოდნებრობაში.
- 4) ქალი—ტელესკოპია, რადგან სანდისხან ძაღლიან ახლო იზიდავს  
გაცეს.
- 5) ქალი—მაგნიტია, რადგან ადვილათ შეუძლიან, როგორც მიგი-  
ზილოს, ისე მოგიშოროს.
- 6) ქალი—ტელეფონია, რადგან რასაც უურში ეტუკი, იმას მისი  
შირიდმეკე გაიგონებ.
- 7) ქალი—გბალებანი ბორბალია, რადგან შეუძლიან, კინც უნდა,  
ზედ მოიხვიოს.
- 8) ქალი—გამერლისკვრაა, რადგან უოკელისფერს უგუდმა გვაჩვენებს.

ი. ხენაველი.

იბაშ-არაპი პროზით

4) ზევსი და ცხენი.

«კაცთა და ცხოველთა მფარველო!» ასე ცველრებოდა  
ცხენი ზევსი—«ყველანი ამბობენ, ეითომ მე ყველა ცხოვე-

ლებს ვჯობდე სილამაზით, რასაც, რა თქმა უნდა, ჩემი თავ-  
მოყვარეობა მაიძულებს ვერწმუნო. მაგრამ ჩემში განა ბევრის  
გაუმჯობესობა არა სჯობდა?

— „მაგალითებრ, ჩისა—შენის აზრით? სოქი! მე მივიღებ შენს რჩევას», მიუგო ლიმილით გულ-კეთილმა ზევესმა.

— «შეიძლება», განვრჩო ცხენმა, «მე უფრო მარდი ვყოფილიყავ, რომ უფრო მაღალი და მსხვილი ფეხები მქონებოდა, წერასაცით გრძელი და მოღერებული ყელი; მკრდიც რომ უგანიერესი მქონოდა, რა თქმა უნდა, ძალ-ლონეს მომიმატებდა.... რადგან ჩემი დანიშნულებაა — ვატარო თქვენი საყარელი ქმნილება — კაცი; ვვონებ, უკეთესი იქნებოდა მუდმივი უნაგირი მქონდეს ნაცვლად ტყავის უნაგირისა, რომელსაც, როცა უნდათ — დამადგმენ, როცა უნდათ — მომხდიან»

— «ძლიერ კარგი», მიუგო ზევესმა, «იქნიო ერთი წა-  
მის მოთმინება!» ზევესმა უბრძანა, რათა შექმნილიყო ახალი  
ცხოველი. ორი წამი არ გასულა, რომ ზევესის წინ წარსდგა  
აქლემი. ცხენზა შეხედა ახალს ცხოველს და შიშისაგან ცახცა-  
ხი დაიწყო.

— „აი, შენ რაც გინდოლა, უთხრა ზევესმა — «აი უფროძე-  
სი და მსხვილი ფეხები, აი წეროს კისერი; აი უფრო განიერი  
მყერდი და აი ბუნებით მუდმივი უნაგირიც! ხომ აზ გინდა  
ამ გეარ ქმნილებად გაქციო?»

Աեղնելու մասին օրենքը կազմակերպությունը համար առաջ է բերել և այդ օրու վերաբերյալ առաջ է բերել օրենքը:

— «წალი» განაგრძო ზეცემა: — «პირუელად მისატივებია, და არ დატჯი, მაგრამ, რომ მუდამ შიშით მოიკონი შენი უკვანი სურეილი — დე, იყოფრის ამ ახალმა პირუტყვმაც». მე- რე შეხედა შემოქმედმა აქლებს და მისუა სამუღამო ბინა, ტბო- ველთა შორის.

ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭირო.

## o. სენაკელი.

# დათვემა დააქცირები იღეა

კომედია ერთ მოქმედებათ

ვიპტორ პრილოვისა (ალექსანდროვისა).

(გაგრძელება).

**ლილია.** აკოცეთ. . აკოცეთ ჩქარა ერთმანერთს... (იყან ანდრეიხი მიწას მისაკენ საკოცელად, მაგრამ უციბ შეტერდება და აჭ-ნევს თავს) ბიძა! (მმება ჰერცინან ერთმანერთს) აი ეგრე! ეგ-რე! მობრძანდით, უცა მიართვით.

**ივან ანდრ.** (მიდის დასაფლომათ) მაინც ამ გვარ სიმღაბლეს არ კელოდდი (ლილია ასსაკს უკასა).

**სვიმონ ანდრ.** მე, ჩემო ლილებია, შეურაცხელოვა მივაუკავა ამას; იმის მაგირ შენ ნაღები მთლად მაგას დაუსხი... მთლად, მთლად, მე არაფერი არ მინდა.

**ივან ანდრ.** თუ დმირთი გრძამს, ნუ მამცირებ უფრო მეტად შე-ნის გულ-მოწელებათ... არა,—მაგას მიეცი ნაღები, მაგას. მე სულაც არ მინდა.

**სვიმონ ანდრ.** მეც არ მინდა... მე უნდა რითიმე გარდაგიხადო, ლილია. გაჩემდებათ თუ არა?... თქვენ უნდა დალიოთ, როგორც მე მსურს... როგორც მე დაგასხავ.

**სვიმონ ანდრ.** კარგი, ჩემო სულო.

**ივან ანდრ.** მეც თანასმა კარ, ჩემია სიცოცხლევ.

**ლილია.** აა ეს შენ და... ეს შენ... ინებეთ და მიართვით.

**ივან ანდრ.** ლილია!... თუმცა მე შენთვის კარდა არ მითავაზება, მაგრამ მიუჟარსა არა ნაკლებ ამისა... (თითქმის ცრემლ-მორე-ული) რათ დაუსხი იმას უფრო მაგრად უავა, კიდრე მე!

**სვიმონ ანდრ.** იყან ანდრეიხი, მე, თუ გსურს, გამგიცე... მაგ-რებ ამას ნუ ჰერცხავ... ააა, წაიღე ჩემი ჰიქა...

**ივან ანდრ.** ეს ნამეტანია!! ეს ნამეტანა, სვიმონ ანდრეიხი...

**ლილია.** არა... მე გხედავ დღეს, რომ თქვენ სრულად არ გებ-

რალებით, არც / არაფერს მიგონებთ... კარგი, როგორც გსუძინებია  
დეთ, ისე მოიშეცით... მე წავალ... წავალ თქვენგან. (დად-  
გუბა მარცხნივ).  
სვიმონ ანდრ. ლილია... ლილებია... ლილია... აი, იყონ ანდრები!  
ას...

ივან ანდრ. ნუ განრისხდები, ჩემთ სულ... ნუ განრისხდები...  
მე უკალაფერს მოვითმენ, უოკელ შეურაცხუოფას აკიტან შეის  
გულისთვის...

ლილია. აქ არაფერი შეურაცხუოფა არ არის... რა არის მართლა,  
რომ საქმეთ გაჭიადეთ? — ვგონებ, ისე კცხოვერობთ, რომ უკა  
არ შეიძლება... სულ იმსიარელეთ და იძღერეთ, მეტი არაფე-  
რი გეგაოთხებათ... თქვენ-ეი უიმისოთ მაინც კურგასძლებთ, რომ  
ერთმანერთს არ აწევნიოთ.

სვიმონ ანდრ. რას ამბობ, ლილია! მე შერიგება მინდა...  
ის-ება...

ლილია. სჭრაბს ისევ ღმერთს მადლობა უთხრათ ორივემ, რომ  
დღეს მე ერთს სიფათს ჟითილად გადავრჩი.

ივან ანდრ. ხიფათს?..

სვიმონ ანდრ. რა ხიფათს?.. ლილებია, მაამბე ჩქარა, რა შე-  
გემთხვე?

ლილია. ის, რომ არ უოთილიყო, თქვენ ესლა ჩსუბის მაგიერ,  
მიტირებდით.

სვიმონ ანდრ. კარგი, ნუ მაწავალი, სთვეი შირდებირ, რა მოხდა?  
ივან ანდრეიჩი. კაა, კაი, კაი... გულის კოკზთან რაღაც შემომაწეა.  
ლილია. აი რა შემემთხვეა. — წარმოიდგინეთ, აქამდე გონიერ  
კერ მოკეცელებარ შიშისაგან... დღეს ძღირ ადრე კვდეს და  
კილიქე, მოდი წავალ სასეირნითა მეოქი, მართლაც წავედი...  
სულ შორს და შორს მივდიოდი, საიდაც თვალი მისწრებდა...  
შეედი ერთს უდიბურ ტექში... მოლად მიკარდინილ ადგილას,  
სადაც გასასკლელიც-ება აღარ სჩანდა...

ივან ანდრეიჩი. მერე, მერე, მერე... კაი, კაი! ახლა გვერდში  
დამადგა მცვალი.

ლილია. გერდავ, ბუქებში რაღაც ინძრება... მე შევერთი... კერ  
გავიგე რა იერა: რაღაც შავად, თუ წაბლის ფრად გამოსტევ-

და,—თითქოს გიღაც მიწასა ჰქოქდა?! დავაცეკერდი,—და და და და... დათვი!..

ივან ანდრ. (სისხლელით), დათვი!?. სკიმონ ანდრეიჩი, ეს ჩემთვის  
ძალიან კაი ამბავია. ჩავუსაფრდეთ...

სკიმონ ანდრ. რა დროს ჩასაფრებაა, ივანე, როდესაც აჭ... მერე  
ლილიხა, შენ რა მოახერხე?

ივან ანდრ. მერე სამ შეეძლო... დაუგლიშვი! ას, კიდევ გამტკებლა...  
ლილია. გდგევარ ცოცხალ-მედარი. ამ დროს, დათვი დადგა თუ  
არა უკანა ფეხებზე, ბუმებში ჩახი ჩეხი გაისმა. მე თვალები  
ამიტრელდა... უციად ვიღაცამ თოფი გაისროლდა... გავასედე:  
დათვმა ძირს ტყაპძი მოადინა!—ამის მერმე მე აღარაფერი  
მახსოვეს; იქვე დავაც მიწაზე გონება მისდილი.

სკიმონ ანდრ. (ივან ანდრეიჩის) ჭიდავ!!

ივან ანდრ. უში!.. დამაცა, ერთი სული მოვითქმა... ჭიდავ სული  
მიგუბდება?

ლილია. (თავისთვის) კერძებ შთაბეჭდილება ძლიერია. მაშასადამე  
სიმართლის მსგავსად მოვიგონე და ტუულა-უბრალოდ არ მი-  
ფერდა გუშინ მოედი სადამო.

სკიმონ ანდრ. მერე?.. შემდეგ რადა იუო?..

ლილია. მერე, როდესაც მე გონიერ მოვედი, ჩემს გვერდით და-  
გინასე მონადირე... იმას შორიდამ მოვერა თეალი დათვისა-  
თვის და ერთის თოფის სროლით იქვე ძირს გააკრა!

სკიმონ ანდრ. უთხად!

ივან ანდრ. გლეხი იუო?

ლილია. არა... აღმოჩნდა... მასწავლებელი ქადაქის გამნაზიისა.  
ივან ანდრ. სკიმონ ანდრეიჩი!. აი რას ჭიდშავს სწავლა; ჩემი ლი-  
ლებია დაუხსნა განსაცდელისაგან...

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი და გამომცემელი პლ. ნებისმიერი.